თამარ ძველაია
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

მუსიკის საგნის სწავლებისათვის კადრების მომზადების შესახებ

DOI: 10.52340/erp.2024.05.29

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა და დამწყები მასწავლებლების მომზადება სასკოლო ცხოვრებისათვის: პროგრამის კურიკულუმი და რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსი. დანართის სახით, წრმოდგენილია მუსიკის მასწავლებლისათვის საჭირო რესურსი, ვორქშოფის გეგმა.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა; მასწავლებლის მაძიებლობის პროგრამა; კურიკულუმი; მუსიკის საგნის სტანდარტი; რიტმიკა და დიდაქტიკა; მუსიკის სახელმძღვანელოების ანალიზი.

მუსიკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოქმედი საგნის სტანდარტის დოკუმენტის შესაბამისად მიმდინარეობს, რომელიც ეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას. ძირეული ცვლილებები, რომელიც ხორციელდება საგანმანათლებლო თვალსაზრისით, კონკრეტულ საგანზეც აისახება. მუსიკის საგნის სწავლება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მიმდინარეობს და შესაბამისად, სწავლების მიზანიც თანდათან ღრმავდება, თუმცა, ძირითადი პოსტულატი შემდეგში მდგომარეობს: „მოსწავლემ მუსიკა გამოიყენოს თვითშეცნობის, თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებად; დაანახოს ჩვენ გარშემო არსებული სამყარო მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროდ. აზიაროს ქართულ (ფოლკლორი, პროფესიული მუსიკა) და მსოფლიო მუსიკალურ მემკვიდრეობას და ამით ხელი შეუწყოს ეროვნული იდენტობის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბებას; მუსიკის ესთეტიკური აღქმისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში შეძენილი ცოდნა-გამოცდილება მოსწავლეს დაეხმარება თანამედროვე გამოწვევებისა და საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვაში.“ იმავე დოკუმენტში მოცემულია

სწავლება-სწავლის შედეგები, რომელსაც საგნის ფარგლებში შეიძენს მოსწავლე: (მაგალითისთვის წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის სწავლის შედეგები).

- მღერის/კომპოზიციის შექმნის/იმპროვიზაციის/ინსცენირების პროცესში მუსიკის გამომსახველობითი ხერხების, ბუნებრივი და ხელოვნური ხმების, სხეულის მოძრაობის გამოყენებით გარკვეული განწყობისა და ემოციური მდგომარეობის გადმოცემა, მხატვრული სახის შექმნა თვითგამოხატვისა და თვითრეალიზებისთვის;
- მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების, ფორმის და ჟანრის მნიშვნელობის გააზრება ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნაში, დარგობრივი ენის გამოყენებით, მუსიკით ცხოვრებისეული მოვლენების ინტერპრეტაციისა და შეფასებისათვის;
- ქართული ფოლკლორული და პროფესიული მუსიკის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად გააზრება და თანამედროვეობის კონტექსტში ინტერპრეტირება ეროვნული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად;
- მუსიკალური კომპოზიციის და გარესამყაროს ხმების ჩასაწერად სანოტო დამწერლობის, პიქტოგრამა/მუსიკოგრამის გამოყენება (ჩაწერა, ამოკითხვა), მუსიკის, უნივერსალურ ენად გასააზრებლად.

საგნის სტანდარტის მოთხოვნების გასათვალისწინებლად, აუცილებელია მასწავლებელი ფლობდეს იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც მას საგაკვეთილო პროცესში გამოადგება. იცოდეს, თემების, საკითხების დამუშავება. ერკვეოდეს გრძელვადიანი და შუალედური მიზნების განსაზღვრაში და თითოეული გაკვეთილის საშუალებით დააძლევინოს მოსწავლეს სწავლის კონკრეტული შედეგები. ხშირ შემთხვევაში, მოქმედ მასწავლებლებს უძნელდებათ სიახლეებზე ფეხის აწყობა, გამოწვევებზე სათანადოდ რეაგირება. სკოლაში შემსვლელი, დამწყები მასწავლებლისთვის კი ბევრად რთულია სასკოლო სივრცეში ადაპტირება. უშუალოდ, საგნის სწავლებამდე ბევრი ბარიერია, რომლის გადალახვა უნდა შეძლოს ახალმა მასწავლებელმა. პრაქტიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სასკოლო საზოგადოება, თითქმის არ ზრუნავს ახალი კადრის ადაპტირებაზე საკლასო გარემოში. ხშირია, კლასის მართვის პრობლემები, რაც საბოლოო ჯამში, საგნის სწავლების ხარისხზე აისახება.

პროფესიაში შემსვლელი, დამწყები კადრებისთვის საქართველოს ფარგლებში, სხვადასხვა უნივერსიტეტში, შექმნილია მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის: თბილისის კონსერვატორიას, ილიაუნის, ბათუმის ხელოვნების და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. კურიკულუმების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი სასწავლო დისციპლინები, რომელიც დაეხმარება მასწავლებლობის მსურველს, მოამზადებს მას პედაგოგიური - თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, საგნის სწავლების მეთოდიკის ციკლის დისციპლინებისა და სასკოლო პრაქტიკისგან. თითოეული უნივერსიტეტის მოცემული სასწავლო პროგრამა ზუსტად ითვალისწინებს მასწავლებლის საჭიროებებს. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის დისციპლინებში შედის შემდეგი სასწავლო კურსები: სწავლების თანამედროვე მეთოდები; ინკლუზიური განათლება; განვითარებისა და სწავლების თეორიები; განათლების სამართლებრივი საფუძვლები; კლასის მართვა და ა.შ.; სამუსიკო ბლოკის საგნებში ჩაშლილია შემდეგი სასწავლო კურსები: სამუსიკო პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში და სახელმძღვანელოების ანალიზი; მუსიკის დიდაქტიკა და რიტმიკა; მუსიკალურ-კომპიუტერული პროგრამები; მუსიკის ისტორიის, თეორიის, ხალხური სიმღერის სწავლების მეთოდიკა; სხვადასხვა საკრავზე შემსრულებლობა (არჩევითი); პედაგოგიური პრაქტიკა საჯარო და სამუსიკო სკოლებში.

მასწავლებელმა, ყოველ ჯერზე საინტერესოდ უნდა დაგეგმოს გაკვეთილი. ამისათვის, საჭიროა იცნობდეს სასკოლო სახელმძღვანელოებს, შეეძლოს დამატებითი მასალის მოძიება, რესურსების მომზადება, ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება და ეს ყველაფერი მიზანმიმართულად უნდა ემსახურებოდეს მოსწავლისათვის ცოდნის მიცემას საგნის სტანდარტთან შესაბამისობაში, რომლის შესწავლასაც დამწყები მასწავლებელი მოახერხებს კონკრეტული კურსის გავლის შემდგომ: „მუსიკის სწავლების სტანდარტი სკოლაში და სახელმძღვანელოების ანალიზი“ - სასწავლო კურსის მიზანია: სტუდენტს გააცნოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მუსიკის საგნის სწავლების სტანდარტი, სახელმძღვანელოების სტრუქტურა, შინაარსი,

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და საგნის სწავლების სტანდარტთან შესაბამისობა; მისცეს რეკომენდაციები სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების, აქტივობების, სტრატეგიების, გაკვეთილების სავარაუდო სცენარების და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. აღნიშნული კურსის ფარგლებში, დამუშავდება ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს რესურსი, აუდიო-ვიდეო მაგალითებით.

ასევე, მნიშვნელოვანი სასწავლო კურსია „მუსიკის დიდაქტიკა და რიტმიკა", რომლის სწავლების მიზანია: გაიაზრონ მუსიკალური დიდაქტიკის და რიტმიკის სწავლების აუცილებლობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; შეძლონ საჭირო მასალის მოძიება, დამუშავება და სწორად მიწოდება მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად; შეისწავლონ სხვადასხვა შემოქმედებითი უნარების განმავითარებელი მუსიკალურ-რითმულ-ინტონაციური ნიმუშები და დანერგონ პრაქტიკაში; შეისწავლონ მუშაობა საკუთარ თავთან და ჯგუფურად; დახვეწონ პრეზენტაციის და დემონსტრირების უნარები; ჩამოუყალიბდეთ მუდმივად სიახლეების გაცნობის, მიღების და პრაქტიკაში განხორციელების მოთხოვნილება. კონკრეტული კურსის ფარგლებში დამუშავდება სხვადასხვა ხალხთა ფოლკლორული თუ ცნობილი ნიმუშები, სტუდენტები შეძლებენ რიტმული აქტივობების ჩართვით, საკრავთა გამოყენებით (მარაკასი, ტამბურინი, შეიკერი და სხვ...) მუსიკალური ნიმუშების შესწავლა/შესრულებას და მათ სტრატეგიებად ქცევას. პიქტოგრამების, მუსიკოგრამების, სანოტო ანბანის საშუალებით მოახერხებენ მარტივი მუსიკალური ფრაგმენტების ჩაწერა/გამოსახვას.

როდესაც ვსაუბრობთ ხალხური ნიმუშების შესწავლაზე, ასევე, რიტმულ აქტივობებზე, პირველ რიგში კარლ ორფის მეთოდს და მის კრებულს „შულვერკს" მოვიაზრებთ. უნდა აღინიშნოს, რომ ფოლკლორის სწავლება და ორფ-კლასი განსხვავდება, რადგან მათი ამოცანები საპირისპიროა. ფოლკლორული, ეთნოგრაფიული ანსამბლი ცდილობს მოიძიოს ნიმუშები ერთი ქვეყნის კულტურაში, აღადგინოს მათი ყოფისთვის დამახასიათებელი დეტალები და ასახოს კონკრეტული ნიმუშების უნიკალური სპეციფიკა. ორფის მიდგომა, პირიქით, ეძებს სხვადასხვა კულტურის სინთეზს და ახდენს საერთო იდენტიფიცირებას. შედეგად, წარმოიქმნება ახალი კულტურულ-შემოქმედებითი ფენომენი - უნივერსალური მუსიკა. ორივე შემთხვევაში, მოსწავლეს უვითარდება ინტერპრეტირების, იმპროვიზირების

უნარი. იმისათვის, რომ მოსწავლეს ჩამოვუყალიბოთ იმპროვიზაციის უნარი, აუცილებელია განვუვითაროთ მეტრო-რიტმის შეგრძნება. რიტმის პრობლემა ძველთაგანვე იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ნეტარი ავგუსტინე, ეყრდნობოდა რა, პითაგორელებისა და პლატონელების რიცხვის გაგებას, ყველა საგანსა და მოვლენაში რიცხვობრივ კანონზომიერებას ხედავდა. XX საუკუნის მუსიკისმცოდნე ბ. ლოიუ წერს: „მუსიკის ყველა ელემენტიდან არცერთს არ აღუძრავს იმდენი სამეცნიერო დავა და არ მიუცია საბაბი განყენებული და წინააღმდეგობრივი მოსაზრებების გამოთქმისა, როგორც რიტმს. მისი განმარტება ვრცელდება მეტაფიზიკიდან ტექნიკურ სიზუსტემდე...“. მუსიკალური აზროვნება წესრიგს მოითხოვს. ეს წესრიგი მუსიკაში სწორედ რიტმს შემოაქვს. რიტმის აღქმა იწვევს მრავალგვარ შეგრძნებას: ენის, თავის, ფეხისა და ხელის თითების, ხორხის, მკერდის კუნთების გააქტიურებას. ამიტომ რიტმის გრძნობის განვითარებაზე მიმართული სავარჯიშოები, ყველაფერთან ერთად, ბავშვის გამაჯანსაღებელ ფუნქციასაც ასრულებენ.

მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: 1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სახელოვნებო პროფესიული განათლება; 2. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება. საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება;3. შიდა ზეპირი, წერილობითი გამოცდა. ზოგ შემთხვევაში საჩვენებელი გაკვეთილის ჩატარება. სწავლის ღირებულება შეადგენს 2250 ლარს, თუმცა, გამოყოფილი უფასო ადგილების შევსება ძლივს ხდება. სწავლება მოიაზრებს ერთ აკადემიურ წელს. სწავლის დასრულების შემდგომ, სტუდენტს გადაეცემა სერტიფიკატი, რომელიც არის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების წინაპირობა, რომლის მოთხოვნასაც გააკეთებს უკვე კონკრეტულ სკოლაში დასაქმებული სტუდენტის (აწ მასწავლებლის) დირექტორი. მიუხედავად, კურიკულუმში შემავალი სასწავლო კურსების მრავალფეროვნებისა, თეორიული და პრაქტიკული აქტივობების სიმრავლისა, მოცემულ კურსებზე მისაღები კონტიგენტი მცირეა. ვინაიდან, ზემოხსენებული პროგრამის პარალელურად ხორციელდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მასწავლებლობის მაძიებელთა პროგრამა, რომელიც ონლაინ კურსის სახითაა შეთავაზებული, არ აქვს დაშვების წინაპირობა, არ ითხოვს საგნის კომპეტენციის დადასტურებას და დამწყებ მასწავლებელს

საშუალებას აძლევს მისთვის შესაფერის ვადაში (ოთხი, ექვსი თვე; ერთი, ორი წელი) ატვირთოს დავალებული მასალა. მასწავლებლობის მაძიებლის ეს პროგრამა, იდეალურია იმ პედაგოგებისთვის, ვისაც წინარე თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება აქვს, იცის საგაკვეთილო გეგმების შედგენა, ფლობს პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის საგნების ცოდნას და ა.შ. ამიტომაც, სკოლაში შემსვლელი, დამწყები მასწავლებლისთვის უპრიანია, ისწავლოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (ერთწლიან) პროგრამაზე.

იმისათვის, რომ საგნის სწავლება ეფექტურად წარიმართოს, თითოეული გაკვეთილი მიზნობრივად უნდა დაიგეგმოს. მუსიკის საგნის სწავლებისას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს გაკვეთილის დროის სწორ განაწილებაზე, აქტივობების ეფექტურობაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე, როდესაც მოსწავლეს კონცენტრირება უჭირს ერთ, კონკრეტულ დავალებაზე. ამიტომაც, გაკვეთილი უნდა წარიმართოს ისე, რომ მოხდეს წინარე ცოდნის გააქტიურება, ახალი მასალის ისე მიწოდება, რომ მოსწავლე თავად იყოს პროცესის ცენტრში, აუცილებელია, ხშირად შევთავაზოთ შემოქმედებითი აქტივობები,რიტმულ-მოტორული სავარჯიშოები, როლური თამაშები, ინსცენირების წარმოდგენა, ვიზრუნოთ მოსწავლის სმენის განვითარებაზე, გემოვნების ჩამოყალიბებაზე, გავაცნოთ და შევასრულებინოთ ასაკის შესაფერისი მუსიკალური ნიმუშები.

დანართი1: ვორქშოფის გეგმა (ხანგრძლივობა 3 საათი) /რესურსი მუსიკის მასწავლებლებისათვის. სამოდელო გაკვეთილი თემაზე: ნ. გაბუნია „იგავი მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისთვის“, „კინომუსიკა’’. ტრენერი: თამარ ძველაია

N	დრო	თემა	მეთოდი/ ორგანიზების ფორმა	აქტივობის აღწერა	რესურსი
1.	5 წთ	გაცნობა		ტრენერი ეცნობა მსმენელებს და აცნობს სამოდელო გაკვეთილის თემას, მოსალოდნელ შედეგებს. თხოვს თავიანთი სახელები დაწერონ თაბახის ფურცლებზე.	თაბახის ფურცლები მსმენელების რაოდენობის მიხედვით.
2.	10 წთ	ნაწყვეტი ფილმიდან,,ნერგები“,“ივანე კოტორაშვილის ამბავი“	ჩვენება	ამ ვიდეო - მასალით ტრენერი შესავალს უკეთებს თემას - ნ. გაბუნია, კინომუსიკა	კომპიუტერი, პროექტორი, ვიდეო მასალა - ნაწყვეტი ფილმიდან,,ნერგები’’,,,ივანე კოტორაშვილის ამბავი’’
3.	20 წთ	თემის გაცნობა	ჯგუფური მუშაობა	ტრენერი ურიგებს პედაგოგებს ტექსტებს: ,,გიყვარდეს მუსიკა შენს თავში და არა შენი თავი მუსიკაში”. (გ. გვახარია) ,,ნ. გაბუნია - მუსიკოსი და მოღვაწე’’(ლ. ასათიანი) ,,საშემსრულებლო ხელოვნება საკუთარი თავის პოვნის უმშვენიერესი გზაა’’ (ლ. ასათიანი) ,,მასწავლებელი ტრაგიკული ფიგურაა“ (ნ. გაბუნია) მსმენელები აკეთებენ პრეზენტაციებს წაკითხულის შესახებ.	ტექსტი: ა),,გიყვარდეს მუსიკა შენს თავში და არა შენი თავი მუსიკაში”. ბ) „ნ. გაბუნია-მუსიკოსი და მოღვაწე“ გ) „საშემსრულებლო ხელოვნება საკუთარი თავის პოვნის უმშვენიერესი გზაა“ დ) „მასწავლებელი ტრაგიკული ფიგურაა“.
4.	35 წთ.	პრეზენტაცია თემაზე:,,ნ. გაბუნია - იგავი მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისთვის, კინომუსიკა’’	მინი-ლექცია	ტრენერი საუბრობს კომპოზიტორის შემოქმედებაზე, მის პედაგოგიურ ღვაწლზე, ჯილდოებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „იგავი მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისთვის“, უხსნის ნაწარმოების სტრუქტურას, ასმენინებს სრულად, პაუზებით და განმარტებებით.	პრეზენტაცია Powerpoint, მოსასმენი მასალა: “იგავი მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისთვის“ (13 წთ), კინომუსიკა (10 წთ).

5.	20წთ.	სამოდელო გაკვეთილი თემაზე:,,იგავი მთხრობელის, სამი ვოკალისტისა და ინსტრუმენტული სეპტეტისთვის''. (,,სოფლის მაშენებლები'') და ა. ბასილაია -,,სოფლის მაშენებლები'' (სულხან-საბა ორბელიანის იგავის მიხედვით).	მოსმენა/ განხილვა	ტრენერი ასმენინებს ა. ბასილაია -,,სოფლის მაშენებლები''(სულხან-საბა ორბელიანის იგავის მიხედვით). ხშირად ეშლებათ ეს ორი ნაწარმოები სათაურის გამო. ერთად მსჯელობენ მუსიკალურ განსხვავებაზე, თავისებურებებზე.	ა. ბასილაია -,,სოფლის მაშენებლები'' მოსასმენი მასალა
6.	15 წთ.	შესვენება		შესვენება	
7.	20 წთ.	ნ. გაბუნია - საორკესტრო და საფორტეპიანო შემოქმედება	მოსასმენი (აუდიო) მასალა წერითი დავალება	ტრენერი საუბრობს ნ. გაბუნიას საფორტეპიანო, საორკესტრო შემოქმედებაზე და ასმენინებს რამდენიმე ნიმუშს, მუშაობენ ცხრილში დაფასთან. (სახელწოდება,ავტორი, ეპოქა - მიმდინარეობა, ჟანრი, ფორმა, პროგრამა - ლიტერატურული პირველწყარო.)	მოსასმენი მასალა ცხრილი, დაფა, მარკერი.
8	20წთ.		წერითი დავალება ჯგუფური მუშობა	ტრენერი თხოვს მსმენელებს დაასახელონ ქართული ფილმები, მათ ვერსიებს წერს დაფაზე. ტრენერი 4 ჯგუფად ანაწილებს მსმენელებს. თითო ჯგუფს ევალება აირჩიოს დაფაზე დაწერილი ფილმებიდან 2 და დაწერონ ფილმის საუნდტრეკის რითმული სურათი. შემდეგ აკეთებენ პრეზენტაციას.	სანოტო ფურცლები, მსმენელების რაოდენობის მიხედვით
9.	15წთ.	ქართული კინომუსიკა	კონკურსი - შეჯიბრი	ტრენერი ასმენინებს ქართულ კინომუსიკას და მსმენელები ეჯიბრებიან გამოცნობაში. ასახელებენ ფილმის სახელწოდებას, რეჟისორს და კომპოზიტორს.	მოსასმენი მასალა მოცემულია
10.	15წთ.	ფოტო - მოზაიკა	კონკურსი - შეჯიბრი	ტრენერი ორ ჯგუფს ურიგებს დანაწევრებულ ფოტოებს და თხოვს მათ აწყობას. (ერთი ფოტოზე გამოსახულია ნ. გაბუნია, გ. ყანჩელი, ბ.	ფოტოები მოცემულია

				კვერნაძე, ჯ. კახიძე. მეორე ფოტოზე ზ. ქაფიანიძე, კადრი ფილმიდან,,ივანე კოტორაშვილის ამბავი'').	
11.	10 წთ.	ვორქშოფის შეჯამება	დისკუსია	ტრენერი ხსნის თუ რატომ გადაწყვიტა ამ თემის მომზადება ვორქშოფისთვის (საკითხი მოცემულია სერტიფიცირების გამოცდაზე, ინფორმაცია კი მწირია ამ კომპოზიტორის შესახებ). ეს გაკვეთილი წარმოდგენას შეუქმნის მათ ნ. გაბუნიას მუსიკალური შემოქმედების შესახებ.	
12.	10 წთ.	ვორქშოფის შეფასება	შეფასების ბარათების შევსება	მსმენელები ავსებენ შეფასების ბარათებს.	შეფასების ბარათები

გამოყენებული ლიტერატურა:

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის მასწავლებლის პროგრამის (60კრედიტიანი) კურიკულუმი. 2024. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურიკულუმი.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურიკულუმი და საგნობრივი სილაბუსები. 2024 აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების პროგრამის კურიკულუმი.

Tamar Dzvelaia
Batumi Art University

About the training of personnel for teaching the subject of music

Abstract

The article discusses the importance of the teacher training educational program and the preparation of novice teachers for school life. The article discusses the curriculum of the program and the syllabus of several school courses. In the form of an appendix, a resource for music teachers, a workshop plan, is presented.

Keywords: teacher training educational program; Teacher Finder Program; Curriculum; Syllabus; Music subject standard; Rhythmic didactics; Analysis of textbooks.